პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

15 თებერვალი შაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 39 (14339)

ლენინური ეროვნული პოლიტიკა

ბიბლიოთეკა

დროის მხარდამხარ

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისთვის ჩვენი ქვეყნის მრავალი საწარმოს მაგალითისამებრ მიმდინარე წელს ახალი ვალდებულებები იკისრა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა. ეს ვალდებულებანი საწარმოს ზრდა-განვითარების ბევრ მნიშვნელოვან ღონისძიებას ითვალისწინებენ. მათ შორის მთავარი ადგილი ეთმობა ტექნიკურ პროგრამას, საწარმოო ბაზის გადახალისებას.

ვალდებულებათა დროულად განაღდებისათვის შრომას ფიზიკრები დამკვრელურად შეუდგნენ.

საქსოვ საამქროში მიმდინარე წელს 70-ზე მეტ ახალ სწრაფადსაქსოვ უმაქოო მანქანას დამონტაჟებენ და თითქმის 3-ჯერ გაზრდიან შრომის ნაყოფიერებას. ხუთწლედის ბოლო წელს კი ფაბრიკის კიდევ 124 ძველი მანქანა შეიცვლება ახლით, რითაც ფაბრიკა 5520 მანეთი წლიურ ეკონომიას მიიღებს, პროდუქციის გამოშვების მოცულობა კი 4 მილიონ 872 ათას მანეთამდე გაიზრდება.

Ю. ქორიძე.

ინერგება სიახლენი

თბილისი, მგზავრთა უკეთ მომსახურებისათვის, შემადგენლობათა უსაშიშრო მოძრაობისათვის ეფექტურ ღონისძიებებს ახორციელებს მეტროპოლიტენის ახალგაზრდა კოლექტივი, რომელიც პირნათლად ანაღდებს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს. ხიასლეთა დანერგვაში მეტროპოლიტენის მუშაკებს დიდ დახმარებას უწევს შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, რომლის სპეციალური განყოფილება აქ ახალი წლიდან შეიქმნა.

უკანასკნელ ხანს მეტროპოლიტენის სადგურებსა და ხაზებზე მეცნიერებისა და ტექნიკის რამდენიმე ახალი მიღწევა დაინერგა. ქვესადგურებში დისტანციურ მართვაზე გადავიდა ცალკეული კვანძები, სამსახურის სხვადასხვა პროცეს-ს ავტომატიზაციის მეთხებით შესაძლებელი გახდა ქვესადგურების მომსახურება მორიგე პერსონალის გარეშე, შემოღებულ იქნა ვაგონების მექანიკური წესით გარეცხვა-გაშრობა, მეტროს ვესტიბიულებში დაიდგა ფულის დამხურდავებელი ავტომატები და სხვ.

ამ ღონისძიებებით მეტროპოლიტენის კოლექტივმა, რომელიც დაგეგმვისა და მატერიალური სტიმულირების ახალი სისტემით მუშაობს, 48 ათასი მანეთით გაამდიდრა საკუთარი ხელფასის ფონდი და 30 ათას მანეთზე მეტი ეკონომია მიიღო.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დღითი დღე ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ ენგურჰესის მშენებლები.

ამ დღეებში განსაკუთრებით დიდი გამოცოცხლება იგრძნობა ვარდნილჰესის მშენებლობაზე, რომელიც დამკვრელურ უბნად არის გამოცხადებული. მშენებლობის დამთავრება და ექსპლოატაციაში ჩაბარება 1970 წლისათვის არის გათვალისწინებული.

• • •

სურათზე: ვარდნილჰესის მოწინავე მშენებელთა ერთი ჯგუფი: მარჯვნიდან — ელექტროშემდუღებელი კ. ჩაკაბერია და მეარმატურეები თ. თაკალაძე და გ. ჯეჯელია.

ფოტო თ. ფუტკარაძისა.

მაღალი მოვალეობა ხალხის წინაშე

PRAVDA

14 თებერვლის მოწინავე

საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომის თვითეული დღე აღსავსეა სახელოვანი მიღწევებით. ახლა განსაკუთრებით მძლავრია მილიონობით მუშის, გლეხის, ინტელიგენციის პოლიტიკური აღმავლობა, რომლებიც გამსჭვალული არიან კეთილშობილური მისწრაფებით ღირსეულად აღნიშნონ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი. ამით მკაფიოდ გამოიხატება მათი უანგარო ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი, შეკავშირება ლენინური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მტკიცე გადაწყვეტილება წარმატებით განახორციელონ კომუნისტური მშენებლობის გეგმები.

სოციალისტური ეკონომიკის თანმიმდევრულ განვითარებასა და განმტკიცებასთან ერთად განუხრელად იზრდება ხალხის სულიერი ძალები და დოვლათი, წარმატებით ვითარდება საბჭოთა მეცნიერება და კულტურა, ლიტერატურა და ხელოვნება.

სკკპ XXIII ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენი პარტიის პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფას, განუყრელად დაკავშირებულია მის იდეურ და თეორიულ საქმიანობასთან, მასების კომუნისტური აღზრდისათვის მრავალმხრივ მუშაობასთან.

ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე იზრდება მასების იდეური აღზრდისა და ორგანიზაციის ისეთ მძლავრ საშუალებათა როლი, როგორიც არის საზოგადებრივი მეცნიერებანი, ლიტერატურა და ხელოვნება, პრესა, რადიო, ტელევიზია, კულტურის დაწესებულებანი. პარტია და ხალხი დიდად აფასებენ ინტელიგენციის შემოქმედებითს შრომას, რომელიც სულ უფრო ნაყოფიერად უწყობს ხელს მშრომელთა მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, მათი პოლიტიკური და კულტურული დონის შემდგომ ზრდას.

ლენინის დიდი იუბილესათვის მზადებამ შემოქმედებითი აქტივობის ახალი აღმავლობა გამოიწვია ქვეყნის იდეოლოგიური მუშაობის, კულტურული ცხოვრების ყველა უბანზე. გაზეთები და ჟურნალები, რადიო და ტელევიზია იღვწიან იმისათვის, რომ გააუმჯობესონ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდა, უფრო ღრმად განმარტონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა. წინა პრესის ავტორიტეტისა და გავლენის ზრდას დამაჯერებლად მოწმობს ის, რომ უალრესად გაიზარდა პერიოდულ გამოცემათა ტირაჟები. ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში ღირსეული წვლილი შეაქვთ სოციალისტური კულტურის მოღვაწეებს, რომელთა საუკეთესო ნაწარმოებები იდეურად ამდიდრებენ და აღაფრთოვანებენ ახალი სამყაროს მშენებლებს. გასული წლის დამლევს გამართულმა მხატვართა და კომპოზიტორთა სრულიად საკავშირო ყრილობებმა ერთხელ კიდევ, მკაფიოდ დაადასტურეს, რომ შემოქმედებითი ინტელიგენცია ცდილობს ღირსეულად ასახოს თავის ნაწარმოებებში ჩვენი ეპოქის სიდიადე.

ახლანდელ ვითარებაში, როცა განსაკუთრებით გამწვავდა პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლა სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის, მეცნიერებისა და კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები გამოდიან როგორც პარტიის აქტიური თანამემწენი ამ ბრძოლაში. მათ თავიანთ მოვალეობად მიიჩნიეთ ნიჭის, ცოდნისა და გამოცდილების მთელი ძალით დაამკვიდრონ სოციალისტური იდეოლოგია, ხელი შეუწყონ ჩვენს ადამიანებში კომუნისტური რწმენის, იდეური სიმტკიცის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გრძნობების განმტკიცებას. მათ კარგად ესმით, რომ იდეოლოგიათა შეჯიდობიანი თანაარსებობა წარმოუდგენელია, ისევე როგორც წარმოუდგენელია კლასობრივი ზავი ბურჟუაზიასა და მშრომელებს შორის, ისინი შუდამ ხელმძღვანელობდნენ და ხელმძღვანელობენ ვ. ი. ლენინის მითითებით: „საკითხი მხოლოდ ასე დგას: ბურჟუაზიული თუ სოციალისტური იდეოლოგია. შუათანა რამ აქ არ არის... ამიტომ სოციალისტური იდეოლოგიის ყოველგვარი დამცირება, მისგან ყოველგვარი ჩამოშორება ნიშნავს იმავე დროს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაძლიერებას“.

ჩვენი კლასობრივი მოწინააღმდეგენი ყოველ ღონეს ხმარობენ, ცდილობენ გავლენა მოახდინონ სოციალისტური ქვეყნების ცალკეულ პოლიტიკურად მერყეულ, გამოუცდელ ადამიანებზე. ცდილობენ დააჩლუნგონ მათი რევოლუციური სიფხიზლე. მაგრამ ამაოა მათი ცდები. როგორც ამბ. ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა თავის სიტყვაში სრულიად საკავშირო აქაც ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმზე, იმპერიალისტები ვერასოდეს ვერ შეარყევენ ჩვენს იდეურ-პოლიტიკურ ერთიანობას. ისინი ვერაფერს დაუპირისპირებენ კეთილშობილური იდეებისა და ბრანდიოზული მიზნების დიად ძალას, რომლებიც საბჭოთა ადამიანებს აღაფრთოვანებენ.

ამ დაძაბულ იდეურ ბრძოლაში ჩვენი იდეოლოგიური კადრები თანმიმდევრულად ხელმძღვანელობენ ლენინური პარტიულობის, პრინციპულობის, კლასობრივი მტრებისადმი შეურიგებლობის პოზიციებით. მეცნიერებისა და კულტურას, ლიტერატურისა და ხელოვნების, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები თავიანთ გამოსვლებში, მხატვრულ ნაწარმოებებში დამაჯერებლად აშუქებენ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების დიად ცხოველმყოფელ ძალას, საბჭოთა ცხოვრების წესის, სოციალისტური საზოგადოებრივი სისტემის უპირატესობებს. ამავე დროს არის შემთხვევები, როცა მეცნიერულ და მხატვრულ ნაწარმოებთა ცალკეული ავტორები ზოგჯერ შორდებიან კლასობრივ კრიტერიუმებს რთული საზოგადოებრივი და პოლიტიკური პრობლემების უაქტებისა და მოვლენების შეფასების დროს, რის გამო სოციალისტური საზოგადოების იდეოლოგიისათვის უცხო შეხედულებათა მატარებლები ხდებიან. სამწუხაროდ, ამას ხელს უწყობს გამომცემლობათა, პრესის, რადიოს, ტელევიზიის ორგანოთა ზოგიერთი მუშაკის არასაკმარისი პრინციპულობა იმ ნაწარმოებებისა და მასალების პუბლიკაციის საკითხთა გადაწყვეტის დროს, რომლებიც იდეურ შეცდომებს შეიცავენ.

რაც უნდა იშვიათი იყოს ამგვარი შემთხვევები, პარტიულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უყურადღებოდ არ უნდა დატოვონ ისინი. გამომცემლობათა, გაზეთებისა და ჟურნალების, რადიოსა და ტელევიზიის რედაქციათა, კულტურის დაწესებულებათა და შემოქმედებითი კავშირების კომუნისტები დროულად უნდა ეხმაურებოდნენ ამგვარ ფაქტებს, აძლევდნენ პრინციპულ პოლიტიკურ შეფასებას და იღვწოდნენ მათი დაძლევისათვის.

საპატიო და პასუხსაგებია პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ორგანოთა, კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებათა მუშაკების შრომა. ამ ორგანოებისა და დაწესებულებების პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან დღენიადაგ ზრუნავდნენ კადრების იდეური და პოლიტიკური მომზადებისა და აღზრდის დონის შემდგომი ამაღლებისათვის, კოლექტივებში ქმნიდნენ მაღალი მომთხოვნელობის, პრინციპულობის, თვითკრიტიკულობის, შემოქმედებითი ძიების ვითარებას. შემოქმედებითი კადრები იდეური შეიარაღებისა და წრთობა, განუწყვეტელი ზრუნვა ხალხის ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცებისათვის მთავარი პირობაა, რომ კიდევ უფრო გაიზარდოს მათი აქტივობა მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში, სკკპ XXIII ყრილობის მიერ დასახულ ისტორიულ ამოცანათა განხორციელებაში.

ლენინური პარტიის ნდობით, ხალხის წინაშე თავისი მაღალი მოვალეობის შეგნებით აღფრთოვანებული საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები თავდადებით ემსახურებიან სოციალისტურ სამშობლოს, კომუნიზმის დიად საქმეს.

ავტომობილები გეგმის გაღამეტებით

ქუთაისი. (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა დამკვრელურად დაიწყო ხუთწლედის მეოთხე წელი. იანვარში აქ გეგმის გადამეტებით გამოუშვეს „კაზ-608“ მარკის ათობით ავტომობილი. საგულისხმოა, რომ ავტომშენებლებმა, რომლებიც შარშან სათადარიგო ნაწილების გამოშვებაში ჩამორჩებოდნენ, იანვარში, გაზრდილი პროგრამის მიუხედავად, 48 ათასი მანეთის ზეგეგმითი სათადარიგო ნაწილები დაამზადეს.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში ყველაზე კარგ მაჩვენებლებს აღწევენ მთავარი კონვეიერის, ნორმალებისა და საძარე საამქროების კოლექტივები, რომლებსაც შ. ქორჩილავა, მ. ბენიძე და გ. ფერაძე უძღვებიან.

ხალხის რჩეულნი

გრძელდება ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატების დასახელება

თბილისი. თბილისის ქარხანა „ელექტროაგრეგატში“ გაიმართა წინასაარჩევნო კრება, რომელიც მიეძღვნა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებას. მისმა მონაწილეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოში თავის წარმომადგენლად გაგზავნონ საწარმოს ამწყობი ბეჭედალი **ლიანა ალექსანდრეს ასული კანდელაკი.** სულ ორი წელია, რაც ე. წ. კანდელაკი საწარმოში მუშაობს, მაგრამ მან თავისი კეთილსინდისიერი, შრომით კოლექტივის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. კრების მონაწილეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ იგი გაამართლებს მათ ნდობას.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა წინასაარჩევნო კრებაზე გადაწყვიტა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელოს საუკეთესო მქსოველები — **ვენერა ერმილეს ასული თოდუა, ნელი ალექსანდრეს ასული ბუგიანიშვილი,** კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, ლენინის ორდენის კავალერი **ვასილ ბესარიონის-ძე ბეგბეშიძე,** წარჩინებული მქსოველი **თამარ გიორგის ასული მოხოვა,** საწარმოს დირექტორი **ლევან ივანეს-ძე დოლიძე,** ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მდივანი **შალვა ევგენის-ძე ერისთავი.**

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მეშვთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კრებამ, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებას მიეძღვნა, თბილისის საქალაქო საბჭოში თავის წარმომადგენლად ერთსულოვნად დასახელა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილე, მთავარი ინჟინერი **გიორგი ვლადიმერის-ძე ვარდისანიძე,** ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი, მაგისტრალის სამხატვრის უფროსი **აკაკი იასონის-ძე გობიანიძე.**

თელავი. თელავის, აბრეშუმსაზვევ-საძახავი ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა თელავის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს ფაბრიკის მოწინავე მხვეველი **თინა ვლადიმერის ასული ამაშუკელი.**

მხოლოდ 22 წლისა თელავის რაიონის სოფელ კონდოლის მოწინავე კოლმეურნე **ზინაიდა ივანეს ასული ოთარაშვილი.** მაგრამ მან უკვე დაიმახსოვრა არტელის ყველა წევრის პატივისცემა და სიყვარული. იგი მეეფეზეხედ მუშაობს და მაღალ შრომითს მაჯენებლებს აღწევს. კოლმეურნეობის წევრებმა წინასაარჩევნო კრებაზე ერთსულოვნად გადაწყვიტეს გაუწიონ მას ნდობა და დასახელეს თელავის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა თელავის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დასახელეს მოწინავე მეკვლინახე **ნანი ნიკოლოზის ასული ნაცვლიშვილი.**

ზუგდიდი. ვისთვის არ არის ცნობილი რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის შესანიშნავი მშრომელს, ორგზის სოციალისტური შრომის გმირის, ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის კოლმეურნეობის თავჯდომარის **ანთიმოზ მიხეილის-ძე როგავას** სახელი. არტელის წევრთა საერთო კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად დაადგინეს თავისი კოლმეურნეობის ხელმძღვანელი წამოაყენონ ზუგდიდის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ონგრის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა ზუგდიდის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშა **მაყვალა ნიეტარის ასული ხახაია.**

სოფელ ონგრის კოლმეურნეობის საერთო კრებამ ზუგდიდის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა სოციალისტური შრომის გმირი **გრიგოლ მაქსიმეს-ძე ყალიჩავა.**

სოფელ კახათის კოლმეურნეობაში არტელის წევრებმა წინასაარჩევნო კრებაზე დაადგინეს, რომ ზუგდიდის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ კოლმეურნეობის მოწინავე ტრაქტორისტი **გიორგი არსენის-ძე გუგუნია.** (საქდესი).

ლენინურად, დამკვრელურად

კარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში

თბილისი მშრომელებმა იუბილესწინა 1969 წელი გამოცხადეს ლენინური შრომითი ვახტის წელიწადად, ეს გადაწყვეტილება ოფიციალურად დაადასტურა ქალაქის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, კომკავშირული და პროფკავშირული მუშაკების აქტივის თათბირმა, რომელიც 14 თებერვალს გაიმართა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ლოლაშვილმა.

გასული წლის შედეგების შესახებ ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგის მოადგილემ ს. ზახაროვმა.

თათბირზე აღინიშნა, რომ თბილისის მშრომელებმა, რომლებიც ჩაებნენ საყოველთაო სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში ხუთწლედის დავალებათა გადამდე შესრულებისათვის და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე. ხუთწლედის განვლილ სამ წელიწადში სამრეწველო წარმოების მოცულობა გაიზარდა 21,9 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გადიდდა 15,7 პროცენტით.

წარმატებით დამთავრდა 1968 წელი — ხუთწლედის მესამე წელი. პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის წლიური გეგმა შესრულდა ვადამდე, 23 დეკემბერს, ვალდებულებით გათვალისწინებულზე ერთი დღით ადრე. რეალიზებულია 27 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, მაშინ როცა ვალდებულებით გათვალისწინებული იყო 22 მილიონი მანეთისა, შრომის ნაყოფიერების გეგმა 5,5 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა ვალდებულებით გათვალისწინებული 3 პროცენტის ნაცვლად, მიღებულია 6 მილიონი მანეთის ზეგეგმითი დაგროვება.

ქალაქის მრეწველობის მშრომელები დიდ მუშაობას ეწევიან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე საწარმოთა გადასვლის დამთავრებისათვის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვისათვის. ფართოდ გაჩაღდა ბრძოლა მომპერნერობისა და ყაირათიანობისათვის, წარმოების სანიმუშო კულტურისა და გამოშვებული პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის.

ვადამდე შეასრულეს რა წლიური დავალებანი, თბილისელმა რკინიგზელებმა გეგმის გადამეტებით გადაიტანეს 52 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკებმა — 1.666 ათასი ტონა ტვირთი, თბილისის აეროპორტის მუშაკებმა გადაიყვანეს 14 ათასი მგზავრი, დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის მეტროპოლიტენის მუშაკებმა კი 4,6 მილიონი მგზავრი, რაც თითქმის ექვსჯერ ეი ალემატება ნაკისრ ვალდებულებას.

დღითი დღე სულ უფრო მზვენდება და კეთილმოწყობილი ხდება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი.

ხუთწლედის მეოთხე წლის დადგომისთანავე მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, საწარმოთა და ორგანიზაციათა მოსამსახურეები, მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწენი სულ უფრო აფაორებენ მუშაობას ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ახალი წლის პირველი დღიდანვე ქალაქის მშრომელებმა განაცხადეს მუშაობის სწრაფი ტემპი, გახდნენ ბევრი პატრიოტული წამოწყების ინიციატორები. მაგალითად, სახეი ჩარხების ქარხნისა და აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივების ინიციატივით თბილისის სამრეწველო საწარმოებში და მშენებლობებზე ახალი ძალით გაჩაღდა შეჯიბრება შრომის მაღალი ნაყოფიერებისა და საუკეთესო ხარისხის ნაწარმისათვის. მრეწველობის, ტრანსპორტისა და საქალაქო მეურნეობის ყველა საწარმოში, სამშენებლო ორგანიზაციებში, მეცნიერების, კულტურის, სამეფოცანო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებებში იკისრეს ახალი სოციალისტური ვალდებულებანი. ფართო შრომითი გაქანება იმის, მკაფიოდ დასტურდება, რომ ქალაქის მშრომელები შეასრულებენ სიტყვას.

ქალაქის აქტივის თათბირმა განიხილა და მიიღო თბილისის მშრომელთა 1969 წლის ახალი სოციალისტური ვალდებულებანი. (საქდესი).

ჩვენს დიად საეროვნოში

პარტიული კადრების სწავლება

13 თებერვალს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში დაიწყო ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების გადასამზადებელი კურსების მორიგი ნაკადის მეცადინეობა. აქ შეიკრიბნენ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების ადმინისტრაციულ და სავაჭრო-საფინანსო ორგანოების განყოფილებათა გამგეები, აგრეთვე საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის პოლიტორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები.

კურსები გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგემ ნ. ი. სავინკინმა. ლექცია „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული გამოცდილება და მისი მნიშვნელობა კომუნიზმის აშენებისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის ორი სტიპენდია — 50 მანეთი თვითეული.

გადაწყვეტილია შალვა ნუცუბიძის სახელი მიეკუთვნოს წყალტუბოს რაიონის სოფელ ფარცხანაყანევის საშუალო სკოლას.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაეკალა ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას უწოდოს შალვა ნუცუბიძის სახელი.

(საქდესი).

ბელორუსული გოლიათი ქალს სინჯავს

მინსკი, 18 თებერვალი. (საქდესი). ღღეს ბელორუსის საავტომობილო ქარხანაში დაიწყო „ბელაზ-549“ მძლავრი თვითმცლელის გამოცდა. გოლიათის სიმაღლეა ოთხნახევარი, განი თითქმის ხუთი, ხოლო სიგრძე დაახლოებით 10 მეტრი. მანქანა იწონის 50 ტონას და შეუძლია 75 ტონა ტვირთი ზიდოს 60 კილომეტრი სისწრაფით საათში.

ვ. ი. ნუცუბიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის შალვა ისაკის-ძე ნუცუბიძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას დაევალა გამოსცეს ვ. ი. ნუცუბიძის შრომები, დადგას შალვა ნუცუბიძის ხაფლავზე განსვენებულის ბიუსტი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფრაადოსანი სტუდენტებისათვის დაწესებულია შალვა ნუცუბიძის სახელობის ორი სტიპენდია — 50 მანეთი თვითეული.

გადაწყვეტილია შალვა ნუცუბიძის სახელი მიეკუთვნოს წყალტუბოს რაიონის სოფელ ფარცხანაყანევის საშუალო სკოლას.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაეკალა ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას უწოდოს შალვა ნუცუბიძის სახელი.

(საქდესი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინეს:

დიდი რუსი იგავთმწერლის ი. ა. კრილოვის დაბადების 200 წლისთავის აღსანიშნავად მოსკოვში დაიდგას ი. ა. კრილოვის ძეგლი.

დიდი იგავთმწერალი

მოსკოვი, 13 თებერვალს სსრ კავშირის დიდ თეატრში გაიმართა საზეიმო სხდომა, მიძღვნილი ი. ა. კრილოვის დაბადების 200 წლისთავისადმი.

პრეზიდიუმში არიან სტრელიან საკავშირო საუბილეო კომისიის წევრები, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები, მწერლები, მეცნიერები, მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები.

საზეიმო სხდომის დაესწრნენ ამხანაგები **გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ვ. ვ. გრიშინი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი, მ. ს. სოლომენცევი.**

საზეიმო სხდომაზე ი. ა. კრილოვის შესახებ სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, სრულიად საკავშირო საუბილეო კომიტეტის თავჯდომარე ს. მიხალკოვი.

დღეს, თქვა მან, კრილოვის დაბადების ორასი წლისთავის დღეს, ჩვენ სამართლიანად შეგვიძლია ვთქვათ: ჩვენი დღესასწაული მრავალეროვნული დღესასწაულია: საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი პატივს სცემს დიდ რუს იგავთმწერალს, რომელსაც სიცოცხლეშივე საახალხო მწერალი უწოდეს ოესეინში.

და თუ უკვე გასულ საუკუნეში კრილოვის ნაწარმოებები ითარგმნა ევროპის ბევრი ქვეყნის ენაზე, ჩვენში მარტო საბჭოთა ხელისუფლების წლებში ისინი გამოცემულია სსრ კავშირის ხალხთა ორმოცდაათზე მეტ ენაზე და მათი ტირაჟი ორმოც მილიონს უახლოვდება.

და დღესაც ორასი წლის კრილოვი ცოცხლობს, „ცოცხალივით გვესაუბრება“. მისი ოგავ-ალაკების სახეები და ფრთოსანი სტრიქონები ბავშვობიდანვე ჩაგვებეჭდა, მეხსიერებაში. ამ სტრიქონებს ვიმეორებთ სულ სხვადასხვა დროს ცხოვრებასა და პოლიტიკაში, ისინი დამკვიდრდნენ ჩვენს სასაუბრო ენაში, ანდაზებად იქცნენ.

ი. ა. კრილოვის დაუშრეტელი ცხოვრებელმყოფელი შემოქმედების შესახებ ილაპარაკეს ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ლიტერატურათა წარმომადგენლებმა, რომლებიც სალამოზე გამოვიდნენ.

საზეიმო სხდომის დასასრულს გაიმართა კონცერტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიადი ლენინური გზით

აჭარის მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ამაყობენ მიღწეულითა და მოპოვებულით. რევოლუციამდელი აჭარა აგრარული, ჩამორჩენილი მხარე იყო. აჭარის ღირსეული შვილები საკუთარ სიცოცხლესაც არ იშურებდნენ იმისათვის, რომ მოსახლეობა დაერაზმათ თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, განათლებისა და კულტურის შუქი შეეტანათ დაჩაგრულ, დაბეჩავებულ ხალხში.

900-ანი წლებიდან ბათუმი რევოლუციური ბრძოლების ერთ-ერთი თვალსაჩინო ასპარეზი გახდა. ბათუმის ქუჩები არაერთხელ მოირწყო ბარიკადებზე მებრძოლ პროლეტართა სისხლით.

1905 წლის რევოლუციის დროებითმა დამარცხებამ დიდი ზიანი მიაყენა აჭარის პარტიულ ორგანიზაციას. მეფის ოხრანკამ დააპატიმრა რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატთა თითქმის მთელი შემადგენლობა. მაგრამ რევოლუციის აღმავლობის პერიოდში, განსაკუთრებით კი პრაღის კონფერენციის შემდეგ, მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია 1920 წლის გაზაფხულის ამბები, როცა აჭარელმა კომუნისტებმა აიფეთქეს და მწყობრიდან გამოიყვანეს ვრანგელისათვის განკუთვნილი ნავთობით დატვირთული რამდენიმე გემი და რკინიგზის ხიდი, რის შედეგადაც ხანგრძლივად შეწყდა თეთრგვარდიელთათვის საწვავის მიწოდება.

იმავე წლის მაისში აჭარის ბოლშევიკურმა პროფსაბჭომ მოიწვია საგანგებო კონფერენცია, რომელსაც უნდა შეექმნა მუშათა დეპუტატების საბჭო ძალაუფლების ხელში ასაღებად. ინგლისელმა ოკუპანტებმა დაატატმრეს პროფკავშირების 18 ხელმძღვანელი და გემით წაიყვანეს კონსტანტინოპოლში, სადაც მათ დახვრიტა მოელოდათ. ვ. ი. ლენინის უშუალო ჩარევის შედეგად პატიმარი ბოლშევიკები სამშობლოში დაბრუნდნენ. და არა მარტო ეს. აჭარის ჩაგრული მშრომელი მოსახლეობა მუდამ გრძნობდა რუსეთის კომუნისტური პარტიის, დიდი ლენინის განსაკუთრებულ დახმარებასა და მზრუნველობას.

აჭარა — ემზადება

ა. თხილაიშვილი,

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

1921 წლის 18 მარტს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა. აჭარის პარტიული ორგანიზაცია შეუპოვრად იბრძოდა შინაგანი და გარეშე მტრების წინააღმდეგ. მტაცეედ ედგა სათავეში ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებისა და განმტკიცებისათვის. აჭარის პარტიული ორგანიზაციის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საბჭოების პირველ საოლქო ყრილობას, რომელმაც ვ. ი. ლენინს 1921 წლის 8 ნოემბერს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა:

„მოსკოვი, კრემლი, ამხ. ლენინს.

ძვირფასო ამხანაგო ლენინ!

დღევანდელი დღით აჭარისტანის მშრომელთა ცხოვრებაში იწყება ახალი ხანა... ჩამოვედით რა ჩვენი აჭარისტანის ყველა სოფლიდან, ჩვენ, დელეგატებმა, მივიღეთ რა მონაწილეობა ბათუმის პროლეტარიატთან ერთად, ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულში, მივიღეთ რა მონაწილეობა თქვენი, მთელი ქვეყნის მშრომელთა საბჭოთა ბელადის ძმობის აგებაში და გავხსენით რა შემდეგ ჩვენი ყრილობა, ამოგიჩრიეთ თქვენ, ძვირფასო ამხ. ლენინ, ჩვენს საბჭოო თავმჯდომარედ. გაბაყოგინებეთ რა ამას, გიძღვნით თქვენ, მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის უდიდეს სულისჩამდგმელს, ფხურვალე სალამს და გისურვებთ დღეგრძელობას მთელი ქვეყნის მშრომელთა საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს მსოფლიო დიდ რევოლუციის დიდ ბელადს ამხ. ლენინს“ („აჭარის სახ. არქივი, ფონდი № 11).

დიდი ბელადი დაინტერესებული იყო საქართველოს ეკონომიური განვითარებით. რკპ (ბ) მე-10 ყრილობაზე იგი ამბობდა: „...წაიკითხეთ თუ არა გაზეთში, რომ იხსნება ბაკო-თბილისის ნავთსადენი? თქვენ მალე წაიკითხავთ, რომ ასეთივე ნავთსადენი გაყვანილია ბათუმამდე, ეს გზას გაგვიხსნის მსოფლიო ბაზრისაკენ“... (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 32, გვ. 329, მე-4 გამოცემა, 1952 წ.).

ახდა დიდი ლენინის სიტყვები. დღეს აჭარაში არათუ ნავთსადენი გვაქვს, არამედ იგი გადაიქცა საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთ მოწინავე მხარედ, რომელსაც მაღალგანვითარებული მრეწველობა და სოფლის მეურნეობა აქვს, რომელშიც მეცნიერება და კულტურა ჰყვავის და იფურჩქნება.

აჭარის, ისევე, როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი უდიდესი ცვლილებები, მეოცე საუკუნის ყველაზე დიდი რევოლუციური მოძღვრები, კაცობრიობის ისტორიის ახალი ფურცელი დაკავშირებულია დიდი ლენინის სახელთან. ლენინის იდეები გზის მანათობელი გახდა ასეულ მილიონობით ადამიანისათვის.

აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებმა ჯერ კიდევ გასული წლიდან დაიწყეს მზადება ამ დიადი თარიღის აღსანიშნავად. რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციები აზორციელებენ მნიშვნელოვან ღონისძიებებს იმისათვის, რომ ლენინის საიუბილეო დღეები გადაიქცეს საერთოპარტიულ, სახალხო საქმედ.

აჭარის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების დაკალება ვადამდე — 24 დეკემბრისათვის შეასრულა, ამასთან გეგმის გადამეტებით გამოუშვა მილიონობით მანეთის სამრეწველო პროდუქცია. განსაკუთრებით დიდი წარმატებები მოიპოვეს ქ. ბათუმის მანქანათმშენებლო, ელექტრომექანიკური, რძის, ღვინისა და ქობულეთის ტუნგოს ქარხნების, ჩაქვის ჩაის № 1 და № 2 ფაბრიკების, აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურისა და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა. დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასული საწარმოები მთავარ ყურადღებას აქცევდნენ პროდუქციის ხარისხის, რეალიზაციის, შრომის ნაყოფიერების ზრდის, მოგების, რენტაბელობის გეგმების შესრულებას.

წარმატებები მოიპოვა საქართველოს საზღვაო სანაოსნომ, რომელიც წლითიწლობით უფრო ფართოდ, შლის ფრთებს. მის განკარგულებაშია 25 ტანკერი, რომლებიც სერავენ მსოფლიოს ოკეანეებსა და ზღვებს. საზღვაო სანაოსნომ 1968 წელს ტონა-მილის სახელმწიფო დავალება 142.0 პროცენტით შეასრულა, ხოლო შემოსავლის გეგმა — 112 პროცენტით.

განვითარებისა და აღმავლობის გზაზეა სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგები. შარშან განსაკუთრებით ისახელეს თავი აჭარის მეჩაიეებმა, რომლებმაც მოკრიფეს და სახელმწიფოს მიაყიდეს 34.720 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 105 პროცენტს შეადგენს.

მეციტრუსეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 18.500 ტონაზე მეტი ნაყოფი, კარგად იშრომეს მეთამბაქოეებმა, მეცხოველეებმა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მუშაკებმა.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის ფართოდ ემზადებიან აჭარის სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციები, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მშრომელები.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება იდეოლოგიური მუშაობის დარგში. დიადი თარიღისათვის მზადების პერიოდში ოლქის პარტიული ორგანიზაციები მთელ იდეოლოგიურ მუშაობაში პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებენ კომუნისტებისა და უპარტიოების მარქსისტულ-ლენინურ განათლებას, ლენინის იდეური მემკვიდრეობის შესწავლას და რევოლუციური თეორიის ფართო პროპაგანდას.

პარტიული სწავლების ყველა რგოლსა და ფორმაში ჯეროვანი ყურადღება ეთმობა ვ. ი. ლენინის შრომების ღრმად და საფუძვლიანად შესწავლას. მნიშვნელოვნად გაიზარდა სახალხო უნივერსიტეტების, ლექტორიუმების, სკოლების, სემინარებისა და საკონსულტაციო ჯგუფების რიცხვი, რომლებშიც მთავარი ადგილი დათმობილი აქვს ბელადის ნაწარმოებების, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას.

ამ დიად თარიღთან დაკავშირებით პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს შემუშავებული აქვთ იდეოლოგიურ ღონისძიებათა გეგმები, რომელთა შესაბამისად ეწყობა თეორიული კონფერენციები, სამეცნიერო სესიები, თემატური და კითხვა-პასუხის საღამოები, აგრეთვე სხვა საინტერესო ღონისძიებები ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თემებზე.

პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს დადგენილებით აჭარის ქალაქებსა და სოფლებში ეწყობა ლენინური კითხვა.

ლენინის იუბილესათვის მზადების ამოცანების შესაბამისად გარდაიქმნა ლექციური პროპაგანდა, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, სკოლების, სამეცნიერო და შემოქმედებითი ორგანიზაციების საქმიანობა. პარტიული კომიტეტები და საზოგადოება „ცოდნის“ აჭარის განყოფილება კითხულობენ ლექციებს ლენინის ნაშრომების, ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ამ თემებზე გასულ წელს წაკითხულ იქნა 1.500-მდე ლექცია, რომლებსაც 90 ათასი კაცი დაესწრო. 50 ორგანიზაციაში იკითხება ლექციე ბი ს ციკლი.

ემზადებიან რა დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის, აჭარის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ყოველმხრივ აუმჯობესებენ მუშაობას ადამიანთა კომუნისტურად აღზრდისა და წარსულის გადმონაშთების აღმოფხვრისათვის. სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დამკვიდრებისა და მტაცე საზოგადოებრივი წესრიგისათვის, შრომისა და საზოგადოებრივი დოვლათისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდისათვის.

ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად აჭარის პარტიული ორგანიზაციები მნიშვნელოვნად აქტიურებენ თავიანთ მოღვაწეობას. მათ საგრძნობლად აამაღლეს პარტიულ-ორგანიზაციული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობის დონე, ქმედითობა. მეტი ყურადღება ექცევა პარტიული ორგანიზაციებისა და პარტიული ჯგუფების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებას, კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებას.

პარტიული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები სრულყოფენ პარტიული მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს. ისინი ფართოდ ნერგავენ ლენინურ სტილსა და პრინციპებს პარტიული და სახელმწიფოებრივი მუშაობის ყველა დარგში. ამაღლდა პარტიული კომიტეტების ბიუროების, პლენუმების, პარტიული კრებების როლი კომუნისტთა პოლიტიკურად გამოწრთობასა და აღზრდაში, ეკონომიკისა და კულტურის განვითარების მომწიფებული საკითხების გადაწყვეტაში. პარტიული ორგანიზაციები ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებას უნარიანად იყენებენ პარტიის რიგების ზრდის, ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის, კადრების შერჩევისა და აღზრდის საქმის გაუმჯობესებისათვის.

ბელადი ლენინის ნაშრომებიდან მასობრივ-პოლიტიკურ და პროპაგანდისტულ მუშაობას საფუძვლად უდებენ პარტიის XXIII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის აპრილსა და ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებებს.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების თამბაზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მითითებულია, რომ ამ დიადი თარიღის ღირსეულად შესახვედრისათვის ყველაზე საუკეთესო საშუალებაა მთელი ძალღონე მოვახმაროთ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის იმ გრანდიოზული გეგმების განხორციელებას, რომლებიც სკკპ XXIII ყრილობამ დაგვიხატა. აჭარის მშრომელებს კარგად ესმით, რომ ლენინისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და მისი ანდერძის განხორციელებისათვის ბრძოლაში აქტიურობის გამოხატულებაა საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის და სახელოვანი იუბილეს ღირსეულად შესახვედრისათვის.

პარტიული აქტივის საოლქო კრებამ, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების ღონისძიებათა განხილვას მიეძღვნა, ამ დიადი თარიღისათვის შემხვედრი მაღალი ვალდებულებები იკისრა.

ამ ვალდებულებათა მიხედვით აჭარის სამრეწველო საწარმოები ხუთწლედს შეასრულებენ 1970 წლის 25 ნოემბრისათვის და სახელმწიფოს მისცემენ 30 მილიონ მანეთ ზეგეგმიოს მოგებას.

სოფლის მეურნეობის მუშაკები სამშობლოს მიჰყიდიან 36.080 ტონა ჩაის, 50 ათას ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფს, 2.300 ტონა ხმელ თამბაქოს, 3.946 ტონა ტუნგის ნაყოფს, ათი ათას ტონა თესლოვან და კურკოვან ხილს, გადამეტებით შეასრულებენ რძის, კვერცხის, ხორცის, ყურძნის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების დამზადებათა ხუთწლიან გეგმებს.

დიდი ბელადის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლისა და მშრომელთა აქტივობის ამაღლების მიზნით პარტიის საოლქო კომიტეტმა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭომ დააწესეს რამდენიმე გარდამავალი წითელი დროშა და 100 საიუბილეო ვიმპელი, რომლებითაც დაჯილდოვდებიან მოწინავე შრომითი კოლექტივები, საავადმყოფოები, სკოლები, კულტურის დაწესებულებები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც განსაკუთრებით გამოიჩენენ თავს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში.

კაცობრიობის უდიდესი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს აჭარის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მშრომელები, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკები ეგებებიან შთაგონებული შრომით, ახალი მიღწევებით კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

დღეს ენგურჰესის მშენებლობაზე

მთავარი ძარღვი

ვისაც საკუთარი თვალით არ უნახავს ზუგდიდიდან ოჩამჩირამდე — 80 კილომეტრზე გადაჭიმული, ამიერკავკასიაში უდიდესი და მსოფლიოში უნიკალური ენგურის ჰიდროელექტროსადგურის კომპლექსის მშენებლობა, ძნელია წარმოიდგინოს ის გიგანტური სამუშაო, რომელსაც ენგურჰესის მშენებლები ასრულებენ.

ყოველდღიურად სულ უფრო იზრდება მოთხოვნილება ენგურჰესისათვის საჭირო საშენ მასალებზე. ამიტომ მშენებელთა წარმატება დიდად არის დამოკიდებული ტრანსპორტის მუშაკების მოქნილ მუშაობაზე.

ენგურჰესის მშენებლობის ავტომატრანსპორტის სამმართველოში, რომელსაც გალის რაიონის სოფელ მნიურში აქვს კანტორა, სამმართველოს უფროსის კაბინეტში თავი მოეყარათ და მიმდინარე წლის მიგმეზე ბჭობდნენ სამმართველოს უფროსი ი. ვასაძე, მთავარი ინჟინერი დ. გაგოშიძე, გადაზიდვების განყოფილების უფროსი ბ. ქორთა და საგზაგმო განყოფილების უფროსი გ. მიქენაია.

თუ როგორ ემსახურება მშენებლებს ავტომატრანსპორტი, რა სიძნელეებია დღეისათვის ავტოსატრანსპორტო კანტორების მუშაობაში, ამაზე ვთხოვეთ ეამბნა ავტოტრანსპორტის სამმართველოს უფროსს ი. ვასაძეს, რომელმაც გვითხრა:

— ჩვენს სამმართველოში გაერთიანებულია 4 ავტოსატრანსპორტო კანტორა. ისინი ემსახურებიან ვარდნილი ჰესების, მაღალთაღოვანი კაშხალის მშენებლობის, გვირაბმშენის, ძალოვანი კვანძის სამშენებლო სამმართველოებს, გარდა ამისა, გზათა მშენებელმოძისა და სამოკალაჭო მშენებლობის სამმართველოებს, სამშენებლო მასალების კომბინატს და სხვა მოიჯარადე სამშენებლო ორგანიზაციებს. ოთხივე სატრანსპორტო კანტორაში გაერთიანებულია 700-ზე მეტი მანქანა, მათ შორის 25 და 27 ტონის ტვირთამწეობის თვითსაცლელები: „მაზები“ და „ბელაზები“, „კრაზები“, „ზილები“, ცემენტმზიდები, სინკარმზიდები, ბორტებიანი მანქანები, ავტობუსები, მსუბუქი მანქანები, რომლებსაც ემსახურება 900-ზე მეტი მძღოლი.

დარში და ავდარში, თოვლსა თუ ყინვაში დაკლაკნილ და ციცაბო გზებზე უსდებათ მუშაობა ჩვენს მძღოლებს, მაგრამ ისინი სიძნელეებს როდი უშინდებიან. შარშან მათ გადაზიდეს 17 მილიონი ტონა მიწა, ხრეში, ცემენტი, მთის ქანი, რკინაბეტონის კონსტრუქციები, ხე-ტყე, ბევრი სხვა სახის საშენი მასალა და გააკეთეს 82 მილიონი ტონაკილომეტრი. მართალია, ბევრი ასაღმოჩა მძღოლი ბაუქბის ძნელ პირობებს და უფრო იოლი სამუშაოს ძებნით არის დაკავებული, მაგრამ ჩვენი მძღოლების უმეტესობა გმირული შრომის საუკეთესო ნიმუშს გვიჩვენებს. ამაში ჩვენ დავრწმუნდით, როცა ადგილზე გავეცანით მათს შრომის საქმიანობას.

აგერ დინამიტისაგან მკერდშელეული კლდეების ნამსხვრევებით მოფენილ გზებზე მიიკვლევს მძღოლი გზას. ლაღუშების გრიალი ერთვის ენგურის ღრიალს. სამშენებლო მასალებით დატვირთულ მანქანებს გვერდს ძლივს ვუქცევთ.

პირველი ავტოსატრანსპორტო კანტორის უფროსს რ. ქებურიას რეჩხში, ვარდნილი ჰესების სამმართველოში შეეხვედით. აქ სამმართველოს უფროსთან გ. ჩუბინიძესთან, მთავარ ინჟინერ ო. ჯინჭარაულთან და საგეგმო განყოფილების უფროსთან თ. გაგუასთან ერთად გაიმართა გულსხმიერი საუბარი. ტრანსპორტის მუშაკებს უმადლიან სამმართველოს ხელმძღვანელები. მათ ქებით მოიხსენიეს ტრანსპორტის მუშაკების შრომა გასულ წელს. შარშან ვარდნილი ჰესებზე 1,1 მილიონ ტონა ტვირთი, ბევრი ასაღმოჩა ბეტონის ნაგებობა, ბევრი ასაღმოჩა ბეტონის ნაგებობა, ბევრი ასაღმოჩა ბეტონის ნაგებობა

საერთაშორისო ცხოვრება

მარიონეტთა პოზიცია ამუხრუჭებს დისკუსიას

კარიზის თათბირის გამო

პარიზი, 18 თებერვალი. (საკდესის კორესპონდენტი ა. კრასოვი იუწყება:

პარიზს თათბირი ვიეტნამის შესახებ, რომელშიც მონაწილეობს ოთხი დელეგაცია — სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საიგონის ადმინისტრაციის დელეგაციები, სამუშაო რიტმით მიმდინარეობს, იმართება თითო სხდომა კვირაში. დღეს მოლაპარაკების მონაწილენი შეიკრიბნენ მორიგ პლენარულ სხდომაზე მეოთხეჯერ კლებერის ავენიუზე მდებარე საერთაშორისო კონფერენციების სახლში.

ამერიკის ზოგიერთი გაზეთი აგრძელებს ვერსიას, თათბირმა „კარგი სტარტი აიღოო". ამერიკის საინფორმაციო საagენტოები პარიზიდან მოსულ ცნობებში წერენ „კერძო შეხვედრების" შესახებ, რომლებიც, თითქოს მიმდინარეობდეს ოფიციალური პლენარული სხდომების პარალელურად. ამასთან გადაკვრით იმასაც წერენ, რომ თათბირის წინაშე დასახული საკითხებზე ძირითადი დისკუსია მიმდინარეობს სწორედ ამ „კერძო შეხვედრებზე" და რომ უკვე მიღწეულია რაღაც პროგრესი.

თათბირის მონაწილეებთან დაახლოებულ წრეებში საკდესის კორესპონდენტს განუცხადეს, რომ ეს მტკიცებანი არ შეესაბამება სინამდვილეს. თუმცა, ამერიკის დელეგაციის ინიციატივით 4 თებერვალს გაიმართა ამ დელეგაციის წარმომადგენლის საირუს ვენსისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წარმომადგენლის ხა ვან ლაუს შეხვედრა. მაგრამ ამ შეხვედრაზე ისეთი არაფერი არ მომხდარა, რაზეც წერს ამერიკის პრესა.

ხა ვან ლაუმ ამ შეხვედრაზე გააკეთა განცხადება, ენერგიულად ამხილა ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედება, რომელმაც ამ ბოლო ხანს გააძლიერა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლებული რაიონების დაბომბვა, აგრეთვე დაბომბვა „ბ-52" ტიპის თვითმფრინავების გამოყენებით და საფრთხე დაუმუქრა ფრანგ ჩრდილოეთ ვიეტნამის წინააღმდეგ.

ამერიკის პროპაგანდის ზოგიერთი ორგანო თავის გეზს ახორციელებს ბაჯარად კონკრეტული მიზნით — ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ ძირითადად ყურადღება დაუთმო ზმინდა სამხედრო ღონისძიებებს, ისევ ღონისძიებებს, როგორიცაა დემილიტარიზებული ზონის აღდგენა ჩრდილოეთ და სამხრეთ ვიეტნამს შორის და ამ ზონის ორივე მხარეზე ჯარების ურთიერთგაყვანა.

განთავისუფლების ეროვნული ფრონტისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს წინადადებანი მანკიერია, როგორც ზმინდა პრაქტიკული, ისე იურიდიული თვალსაზრისით. ფაქტიურად ეს წინადადებანი მიზნად ისახავენ იმას, რომ დაამკვიდრონ ვიეტნამის გაყოფა, ჩრდილოეთს მოუსპონ ყველა შესაძლებლობა, დახმარება და მხარდაჭერა გაუწიოს სამხრეთს, ხელისუფლების სათავეში დატოვონ საიგონის რეჟიმი, შეეთანხმებინ შტატებს დაუტოვონ იმის შესაძლებლობა, რომ ამ რეჟიმის მხარდასაჭერად გამოიყენოს საზღვაო და საჰაერო კომუნიკაციები. ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებანი მოასწავებენ აგრეთვე იმას, რომ ერთნაირი საზომით უდგებიან აგრესორსაც და აგრესიის მსხვერპლსაც, მოასწავებს აგრეთვე ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული ომის „ლეგალიზაციას".

ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების სამხედრო წარმომადგენელთა შეხვედრა

ბერლინი, 13 თებერვალი. (საკდესი). როგორც ცნობილი გახდა, ახლახან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშალის ი. ი. იაკუბოვსკის ხელმძღვანელობით გაიმართა ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ: ბულგარეთის სახალხო არმიის მხრივ — გენერალური შტაბის უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი ა. გ. სემერჯიევი; უნგრეთის სახალხო არმიის მხრივ — თავდაცვის მინისტრის მოადგილე გენერალ-მაიორი ი. ოლახი; გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული სახალხო არმიის მხრივ—ეროვნული თავდაცვის მინისტრის მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი ზ. ვაისი; პოლონეთის ჯარის მხრივ — ეროვნული თავდაცვის ვიცე-მინისტრი დივიზიის გენერალი ტ. ტუჩაპასკი; რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მხრივ — შეიარაღებული ძალების მინისტრის უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი ი. გეორგე; სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მხრივ — საბჭოთა ჯარების მთავარსარდლის მოადგილე არმიის გენერალი პ. ნ. ლაშჩენკო; ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმიის მხრივ — ეროვნული თავდაცვის მინისტრის მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი ა. მუხა.

შეხვედრამ ჩაიარა ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების შეიარაღებული ძალების ძმური საბრძოლო მეგობრობისა და ურთიერთთანაშრომლობის სულისკვეთებით.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა ზრმიის გენერალმა გ. ჰოფმანმა დარბაზობა გამართა შეხვედრის მონაწილეთა პატივსაცემად.

პატრიოტთა საბრძოლო წარმატებანი

ჰანოი, 13 თებერვალი. (საკდესი). ამერიკა-საიგონის ჯარების 250-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის 200-ზე მეტი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე, გამოიყვანეს მწყობრიდან სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა ტაინინის პროვინციაში 2 თებერვლის საბრძოლო მოქმედების დროს. ამას გარდა, პატრიოტებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგის 25 ჯავშნოსანი მანქანა და ჩამოაგდეს 4 თვითმფრინავი.

5 თებერვალს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა შეუტიეს ამერიკის ჯარების პოზიციებს ტაინინის პროვინციის ჩადოს რაიონის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. საბრძოლო ოპერაციის შედეგად პატრიოტებმა მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 2 ოცეული და ერთი საშტაბო ასეული.

იმავე დღეს სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა ამერიკის ჯარების ქვეგანაყოფებთან ბრძოლის დროს ლონინის აღმოსავლეთ ნაწილში დახოცეს და დაჭრეს ბევრი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე და გაანადგურეს ორი ვერტმფრინავი.

6 თებერვალს იმავე პროვინციის ჰდინარე ვამკოდონგზე საბრძოლო ოპერაციის დროს ჩაძირულია მოწინააღმდეგის „სამი სამხედრო გემი.

სასტიკი განაჩენი

ნიუ-იორკი, 14 თებერვალი. (საკდესი). სან-ფრანცისკოს სამხედრო ტრიბუნალმა გუშინ ამერიკის არმიის ჯარისკაცს ნესრეი სოდს 15 წლის პატიმრობა მიუსაჯა.

27 ჯარისკაცმა, რომელთა შორის იყო ნ. ს

იც, და რომლებიც საპატიმროში ისხდნენ ვიეტნამის ომში მონაწილეობაზე უარის თქმის გამო, მჯდომარე დემონსტრაცია გამართა საპატიმროში. ამით მათ გამოთქვეს პროტესტი საპატიმროს მოსამსახურეთა ბარბაროსობის წინააღმდეგ, რომლებმაც ტყვეთი მოკლეს ერთ-ერთი მათი ამხანაგი. ჯარისკაცებს ბრალად დასდეს „ამბოხება", რისთვისაც გთვალისწინებულია მძიმე სასჯელი. სოდს 26 ამხანაგსაც ასეთივე განაჩენი მოელის.

ალიკვეთოს პროვოკაცია

ბერლინი, 14 თებერვალი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის განზრახვა, 5 მარტს მოაწყოს ფედერალური კრება და დასავლეთ გერმანიის პრეზიდენტის არჩევნები დასავლეთ ბერლინში, ეწინააღმდეგება მშვიდობის ინტერესებს და წინასწარ განზრახული პროვოკაციაა, რომელიც მომრთულია დასავლეთ ბერლინის მოქალაქეთა ინტერესების წინააღმდეგ. ეს ნათქვამია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიმართვში დასავლეთბერლინელი მოქალაქეებისადმი, რომელიც აქ გამოქვეყნდა.

ბონს მიერ ამ უკანონო აქციის განხორციელება, რომელშიც მონაწილეობის მიღებას ამირეებენ ბონის რევანშისტული წრეები დასავლეთგერმანელ ნეონაცისტებთან ერთად, არ შეიძლება უშედეგოდ დარჩეს, ხაზგასმულია მიმართვაში. ეს აქცია ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს, იგი ეწინააღმდეგება პოტსდამის შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს ნაცისტური აღმოფხვრასა და ნაცისტური საქმიანობისა და პროპაგანდის აკრძალვას.

დასავლეთი ბერლინი განსაკუთრებული პოლიტიკური ერთეულია. იგი არ ეკუთვნოდა, არც ამჟამად არის და არასოდეს არ იქნება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წაწილი, ხაზგასმულია მიმართვაში. ამ ქალაქში დაგეგმილი პროვოკაციული ღონისძიებანი მიმართულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და დასავლეთ ბერლინის სენატის ნორმალური მშვიდობიანი ურთიერთობის წინააღმდეგ, რომლის განვითარებისათვის მუდამ იღვწის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აცხადებს, რომ დასავლეთ ბერლინის მცხოვრებლებმა საკუთარი კეთილდღეობისათვის უნდა იზრუნონ, რათა მათი ქალაქი განთავისუფლდეს ბონის რევანშისტული პოლიტიკის გავლენისაგან და ამ ქალაქს ბოროტად არ იყენებდნენ საშიში პროვოკაციის განხორციელებისათვის.

ქალაქ ლაპრლვიეს საზღვარი

ანომპენი, 13 თებერვალი. (საკდესი). კამბოჯის საზენიტო არტილერიის ცეცხლმა გუშინ ჩამოაგდო ამერიკა-საიგონის ჯარების თვითმფრინავი, რომელიც კამბოჯის საჰაერო სივრცეში შეიჭრა სვაირიენგის პროვინციაში. საზღვრის დამრღვევი თვითმფრინავი კამბოჯის ტერიტორიაზე ჩამოვარდა საზღვრიდან ორ კილომეტრზე. თვითმფრინავის პილოტი — ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე — დაიკავეს. როგორც ქხმერ პრესის საagენტო იუწყება, იმავე დღეს ამერიკა-საიგონის ავიაციის ოთხი თვითმფრინავი შეიჭრა კამბოჯის საჰაერო სივრცეში და ცეცხლი დაუშინა რაიონს, სადაც დამრღვევი თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

ესპანელი მშრომელები იბრძვიან

პარიზი, 14 თებერვალი. (საკდესი). პოლიციის რეპრესიების მიუხედავად ესპანელი მშრომელები მამაცურად იბრძვიან ფრანკისტული დიქტატურისა და საგანგებო წესების წინააღმდეგ.

როგორც გაზეთ „მონდის" მადრიდელი სპეციალური კორესპონდენტი იუწყება, ბილბაოს სამრეწველო რაიონის მუშათა გაფიცვაში მონაწილეობს დაახლოებით 25 ათასი კაცი. ესპანელმა მშრომელებმა გაფიცვა დაიწყეს 31 იანვარს საგანგებო წესების შემოღების წინააღმდეგ და თავისი სოციალური უფლებების დასაცავად. როგორც უკანასკნელი მონაცემები მოწმობენ, ფრანკისტულმა პოლიციამ, რომელიც ცდილობს გატეხოს გაფიცულთა წინააღმდეგობა, დააპატიმრა 125 მეტალურგი მუშა.

გრძელდება გაფიცვები ესპანეთის სხვა ქალაქებშიც: ბარსელონაში გაიფიცა 8 ათასი მშრომელი, სენ-სებასტიანში — „მიშელინის" საწარმოთა 3.500 მუშა.

ფაქტები

● **კაბრა, 13 თებერვალი.** (საკდესი). პოლანდიის დედაქალაქში პირველად ჩამოიტანეს ახალი საბჭოთა ავტომანქანა „ზაპოროჟეც-1200". მას წარმატებით უჩვენებენ საერთაშორისო საავტომობილო სალონში. მრავალი მნახველი ინტერესით ათვალიერებს აგრეთვე საბჭოთა მარკების სხვა ავტომობილებს „მოსკვიჩ-408"

58-ე საერთაშორისო ავტოსალონში, რომელიც დღეს გაიხსნა ამსტერდამში, ექსპონირებულია სხვადასხვა მოდელისა და მარკის სულ 70 მსუბუქი ავტომანქანა. აქ წარმოდგენილია მსოფლიოს 11 ქვეყნის საavტომობილო ქარხნების პროდუქცია.

● **ალჟირი, 14 თებერვალი.** (საკდესი). გუშინ ალჟირში ერთა სასახლეში მუშაობა დაიწყო ალჟირის ქალთა ეროვნული კავშირის ეროვნულმა კონფერენციამ.

სამი დღის განმავლობაში მისი მონაწილენი განიხილავენ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ალჟირის ქალთა მეორე ყრილობის მომზადებასა და მოწყობასთან. ეს ყრილობა უნდა გაიხსნას 19 მარტს.

● **პრაღა, 14 თებერვალი.** (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკათა მთავრობის რეკომენდაციით ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობამ შეაქმნა რესპუბლიკის ეკონომიური საბჭო. საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნულია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ვალეში.

● **ჰანოი, 14 თებერვალი.** (საკდესი). რუმინელ პრესის ცნობით, ჰანოიში ბანკოკიდან ჩამოსულ საagენტო განთავისუფლება იუწყება, საამრთო მიმოწერების განთავისუფლების ეროვნული ფონდის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განთავისუფლების საჭიროებიდან ადგილობრივ ხელისუფლებათა ინიციატივა ადგილობრივ ეროვნულ საagიტაციო კომიტეტებს ჩამოაყალიბონ ადგილობრივ ეროვნული ფონდის ტერიტორიული ორგანოები.

ცვლილებანი ინდოეთის მთავრობაში

დელი, 14 თებერვალი. (საკდესი). ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ მოახდინა მთელი რიგი ცვლილებანი მთავრობის შემადგენლობაში. ყოფილი ვაჭრობის მინისტრი დინუშ სინგჰი დანიშნულია საგარეო საქმეთა მინისტრად. ეს პოსტი 1967 წლის სექტემბრიდან თვით ინდირა განდის ეკავა. ყოფილი სახელმწიფო მინისტრი საგარეო საქმეთა სამინისტროში ბ. რ. ჰაგატი საოთვეში ჩაუდგა საგარეო ვაჭრობისა და მომარაგების ახალ სამინისტროს, შეიქმნა აგრეთვე განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა ახალი სამინისტრო, რომლის მეთაურად დანიშნულია ყოფილი ტრანსპორტისა და ნოსნობის მინისტრი ვ. კ. რ. რაო.

ინდოეთში

დელი, 14 თებერვალი. (საკდესი). **აქ გამოქვეყნდა წინასწარი შედეგები შუალედური არჩევნებისა, რომელიც ინდოეთის ხუთ შტატში მიმდინარეობს.**

ინდოეთის ერთ-ერთ უდიდეს სამრეწველო შტატში დასავლეთ ბენგალიაში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა შემარცხენე პარტიების ბლოკმა — „აერთიანებულმა ფრონტმა, რომელმაც საკანონმდებლო კრებაში 280-დან 196 ადგილი მიიღო. ქვეყნის მმართველმა პარტიამ — ინდოეთის ეროვნულმა კონგრესმა მოიპოვა სულ 51 ადგილი 127 ადგილის ნაცვლად, რაც მას შანამდე ჰქონდა.

უტარ პრადეშის შტატში ლიდერობს ინდოეთის ეროვნული კონგრესი. რომელმაც უკვე მიიღო საკანონმდებლო კრებაში 208 ადგილი 423-დან.

ქვეყნის მარცხენეულის მთავარ რაიონში — პენჯაბში ლიდერობს რელიგიური პარტია „აკალი დალი", რომელმაც 43 ადგილი მიიღო.

დღემდე გაურკვეველი მდგომარეობაა ბიჰარის შტატში, სადაც საკანონმდებლო კრების 318 წევრიდან უკვე არჩეულია 295. მარტო ერთმა პარტიამ — ინდოეთის ეროვნულმა კონგრესმა მიიღო ადგილი ამ ამბრჩეველთა შესაბამ. ამ ამბრჩეველთა შესაბამ 208 ადგილი 423-დან.

ქვეყნის მარცხენეულის მთავარ რაიონში — პენჯაბში ლიდერობს რელიგიური პარტია „აკალი დალი", რომელმაც 43 ადგილი მიიღო.

საზოგადოებრიობის პროტესტების წინააღმდეგ

ესპანელი მშრომელები იბრძვიან

პარიზი, 14 თებერვალი. (საკდესი). პოლიციის რეპრესიების მიუხედავად ესპანელი მშრომელები მამაცურად იბრძვიან ფრანკისტული დიქტატურისა და საგანგებო წესების წინააღმდეგ.

როგორც გაზეთ „მონდის" მადრიდელი სპეციალური კორესპონდენტი იუწყება, ბილბაოს სამრეწველო რაიონის მუშათა გაფიცვაში მონაწილეობს დაახლოებით 25 ათასი კაცი. ესპანელმა მშრომელებმა გაფიცვა დაიწყეს 31 იანვარს საგანგებო წესების შემოღების წინააღმდეგ და თავისი სოციალური უფლებების დასაცავად. როგორც უკანასკნელი მონაცემები მოწმობენ, ფრანკისტულმა პოლიციამ, რომელიც ცდილობს გატეხოს გაფიცულთა წინააღმდეგობა, დააპატიმრა 125 მეტალურგი მუშა.

გრძელდება გაფიცვები ესპანეთის სხვა ქალაქებშიც: ბარსელონაში გაიფიცა 8 ათასი მშრომელი, სენ-სებასტიანში — „მიშელინის" საწარმოთა 3.500 მუშა.

განმეორებადი სუფლებელი ბრძოლა ფართოვდება

აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის განთავისუფლების კომიტეტის სესია

დარ-ეს სალამი, 13 თებერვალი. (საკდესი). **ტანზანიის დედაქალაქში მუშაობას განაგრძობს აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის განთავისუფლების კომიტეტის სესია.**

სესიამ მოისმინა თავდაცვის პრობლემების მუდმივი ქვეკომიტეტის მოხსენება, რომელიც შეიცავდა იმ სამხედრო კომისიათა ღასკვნებს, რომლებმაც „პორტუგალიის" გვინეაში და ანგოლა მოიარეს. მოხსენებაში დადასტურებულია, რომ „პორტუგალიის" გვინეისა და მწვანე კონცხის კუნძულების დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ აფრიკელთა პარტიის რაზმები კონტროლს უწევენ ქვეყნის ტერიტორიის ორ მესამედზე მეტს, აგრეთვე მოყვანილია იმ კომისიის დასკვნები, რომელიც ანგოლაში იყო. დასკვნებში დადასტურებულია ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის რაზმების წარმატებანი.

კომიტეტის წინა ალჟირის სესიამ, როგორც ცნობილია, მოსმენა იმ კომისიის დასკვნები, რომელმაც მოზამბიკის საბრძოლო მოქმედების რაიონები მოიარა.

თავდაცვის პრობლემების მუდმივი ქვეკომიტეტის მოხსენების მოწონების შემდეგ აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის განთავისუფლების კომიტეტის სესიამ მიიღო რეკომენდაციები, რომელთა მიზანია განმათავისუფლებელი ბრძოლის შედგომი გაფართოება „პორტუგალიის" გვინეაში, ანგოლასა და მოზამბიკში.

ინდოეთი

არეულობის შედეგები ბომბეიში

დელი, 13 თებერვალი. (საკდესი). **ინდოეთის უდიდესი სამრეწველო და სანავსადგურო ცენტრი ბომბეი უბრუნდება ნორმალურ ცხოვრებას თარეშისა და რბევის შემდეგ, რომლებიც ქალაქში მოაწყო რეაქციულმა, შოვინისტურმა ორგანიზაციამ „შივ სენამ".** ბევრი მცხოვრები გამოვიდა ნაგვისაგან ქუჩების გასაწმენდად, ბარიკადების დასაშლელად და ხანძრის შედეგების აღმოსაფხვრელად. აღდგენილია ტრანსპორტის მოძრაობა. ნორმალიზებულია დაწესებულებათა, სამრეწველო საწარმოთა მუშაობა. მაგრამ ზოგან შევსენელები ჯერ ისევ ცდილობენ წესრიგის დარღვევას. დღეს დილით პოლიციამ სამჯერ დაუშინა ცეცხლი ხელიგანთა ბრბოს.

მოთაშესტო არაბადების ოთხი დღის თარეშის შედეგად ქალაქმა დიდი მატერიალური ზარალი განიცადა, გაძარცულია 50-ზე მეტი სასტუმრო და რესტორანი, ცეცხლი წაუკიდეს ათობით მაღაზიასა და ფარდულს. ქალაქისათვის მიყენებული მატერიალური ზარალი 150 მილიონ რუპიას შეადგენს.

ეროვნული ქრონიკა

... ინფორმაციები

... ...

... ...

... ...

ჩვენს აჩქ-მაჩქეში

ახალი დადგმები

ბათუმი. (საკ. კორ.). ახლახან ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრმა წარმოადგინა ა. ოსტროვსკის პიესა „უმზითვო“. სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ შ. ინასარიძემ.

თელავი. (საკ. კორ.). თელავის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა ორი ახალი დადგმა — გ. ბერიაშვილის „სად ხარ, ჩემო შებაღეო?“ და გ. ნახუცრიშვილისა და დ. ცხაკაიას „გლახის ნაამბობი“.

სპექტაკლების დადგმა განახორციელეს რეჟისორებმა გ. აბრამიშვილმა და ე. ჯელაშვილმა.

ტყიბული. (საკ. კორ.). მეშახტეთა კულტურის სასახლესთან არსებულმა სახალხო-თეატრმა თავისი რეპერტუარი ახალი სპექტაკლით გაამდიდრა. მაყურებელს უჩვენეს ა. გეწაძის პიესა „წმინდანები ჯოჯოხეთში“. სპექტაკლის დადგმა ახალგაზრდა რეჟისორ მ. ფურცხვანიძეს ჯაუფთნის.

ონის სახალხო თეატრმა მაყურებელს უჩვენა ორი ახალი დადგმა — გ. ქელბაქიანის ორმოქმედებიანი პიესა „საოცარი შურისძიება“ და ბ. გეწაძის „ყარამან ყანთელაძე“, რომელთა დადგმა და მხატვრულად გაფორმება ეკუთვნის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გ. ჯაფარიძეს.

(„ბომშენსტის“ კორ.).

გურჯაანი. (საკ. კორ.). საქართველოს სახელმწიფო საესტრო ორკესტრი „ტერო“ გურჯაანს ესტუმრა. ქართული ესტრადის ოსტატების ს. გეგელიას, ს. ცორომიხაძის, გ. ჭორაქაძის და ორკესტრის მაღალმა ოსტატობამ მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა.

ცხინვალი. (საკ. კორ.). ადგილობრივი სახალხო თეატრის კოლექტივმა, რომელიც დაჯილდოებულია სახალხო თეატრების საკავშირო დათვალიერების უფლების დიდი მედლით და პირველი ხარისხის დიპლომით, ამას წინათ მაყურებლებს უჩვენა მორიგი პრემიერა — ვ. კანდელაკის „ნაკრძალში“.

სპექტაკლის რეჟისორი და მხატვარია დ. ბარქაია.

ზესტაფონი. (საკ. კორ.). უ. ჩხეიძის სახელობის სახალხო თეატრში მაყურებელმა ნახა ახალი დადგმა — ვ. კაკაბაძის „ჟვარყვარე თუთაბერი“.

სპექტაკლი დადგა რეჟისორმა რ. აბესაძემ, მხატვრულად გაფორმა ჯ. კახნიაშვილმა. ყვარყვარეს როლს ასრულებს მსახიობი ე. ბეჟუაშვილი.

კალმის ოსტატთა ჩანაფიქრი

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის ორგანიზაციის გამგეობის ბიუროს სხდომაზე

გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის ორგანიზაციის გამგეობის ბიუროს სხდომა, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები. შეიქმნა შემოქმედებითი, მუშაკორების, რადიოსა და ტელევიზიის სექციები, ფოტოკლუბი „თბილისი“. სექციები მუშაობაში ჩაებმენ ქალაქის ჟურნალისტებს, გაშლიან დიდ მოსამზადებელ მუშაობას ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისათვის.

ბიურომ დასახა ჟურნალისტთა შეხვედრები ქალაქ თბილისის შემოქმედებითს მუშაკებთან.

სხდომაზე შეიმუშავეს ფოტოკლუბ „თბილისის“ მუშაობის გეგმა, რომელმაც მიიღო წინადადება მოსკოვის ფოტოკლუბს „კადრისაგან“, რომ გაცვალონ მოსკოველ და თბილისელ ფოტოჟურნალისტთა ნამუშევრების გამოფენები.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება მოაწყოს თბილისის ჟურნალისტთა კავშირის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, კედლის გაზეთების საქალაქო დათვალიერება. (საქდეს).

მაღაროსკარის ხარაჩოები

დუშეთი. (საკ. კორ.). ჩარგლისაკენ მიმავალ გზაზე, არაგვის პირად, მდებარეობს სოფელი მაღაროსკარი, სადაც 1905 წელს ვაჟა-ფშაველამ მოიელები რეკონსტრუქციის ერთგულებაზე დაფიცა. მაშინ სოფელში ერთი იკლესიის და მიწური ქოხების მეტი არაფერი იყო. ახლა მაღაროსკარს აქვს საშუალო სკოლა, სასოფლო კლუბი, ბიბლიოთეკა, სამკითხველო, საექიმო ამბულატორია, აფთიაქი. სოფელში კაშკაშებს ლიჩის ნათურები. ვაჟას სახელობის კოლმეურნეობა და სასოფლო საბჭოს აღმასკომი ბევრს აკეთებენ სოფლის შემდგომი კეთილმოწყობისათვის. შენდება თანამედროვე ტიპის შენობა, რომელშიც მოთავსდება უნივერსალური მაღაზია, სასადილო, სასტუმრო, საპარიკმახერო, თონე.

წელსვე საექსპლოატაციოდ გადასცემენ პურის ახალ საცხობს და საკოლმეურნეო ბაღნოს.

ილგლიანი ბილეთები

◆ **ტყიბული.** (საკ. კორ.). ლენინის სახელობის შახტის მუშა ა. კვირიკაძე მესამე ავტომოტოლატარიის იღბლიანი ბილეთის მფლობელი აღმოჩნდა. მან მსუბუქი ავტომანქანა „ვოლგა“ მოიგო.

ბედმა მძღოლ ა. ბარშავასაც გაუღიმა. მან საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების ლატარიის გასული წლის მეთორმეტე გამოშვების ბილეთით პიანინო მოიგო. დიდად ნასიამოვნები დარჩა აგრეთვე ორპირელი ე. მერკვილაძე— ამავე გამოშვების ბილეთით მანაც პიანინო მოიგო.

◆ **საჩხერე.** (საკ. კორ.). ლატარიის გათამაშებანი პოპულარობით სარგებლობს საჩხერეში. ეს გასაგებიც არის. აი რა გვითხრა ცენტრალური შემნახველი სალაროს გამგემ ბ. გოგოლაძემ ამის თაობაზე:

— განსაკუთრებით იღბლიანი გამოდგა ბოლო თვეების ლატარიის ბილეთები. ზურაბ ბეგალოვმა და ზაურ მღებრიშვილ „მოსკვიჩები“ მოიგეს, გორგი ცუცქირიძემ — „ზაპოროჟეცი“, იგორ ფინა მაკარაშვილმა — პიანინო, აკაკი კურტანიძემ, გორგი შაორშაძემ, ვლადიმერ ციცქიშვილმა —მაცივრები.

◆ **ცხინვალის** რაიონის სოფელ აჩაბეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ რ. მელანაშვილმა შემნახველ სალაროში წარადგინა 1968 წლის სპორტული ოლიმპიური ლატარიის ბილეთი. — ნომერი 017, სერია 04924— რომელსაც მოგებად ხვდა მსუბუქი ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“.

დ. კანანიშვილი.

წინათ რას იფიქრებდი, თუ ვიწერო, ატალახებულ ქუჩებიანი, ქოხმახებიანი და დარაბებიანი ყოფილი სინაკი თანამედროვე კეთილმოწყობილ ქალაქად გადიქცეოდა. ახლა ცხაკაია მოავალსართულიანმა სახლებმა, სკვერებმა, ბაღებმა, ფართო ქუჩებმა მოქარგა. ამას წინათ დამთავრდა და უახლოეს დროში მასპინძლობას გაუწევს ცხაკაიაში ჩამოსულ სტუმრებს ოთხსართულიანი სასტუმრო, რომელიც 150-ზე მეტ კაცს მოემსახურება.

სურათზე: სასტუმროს ახალი შენობა ცხაკაიაში.

ფოტო ა. ჩარკვიანისა.

ლაკარაკობს და უჩვენებს თბილისი

რადიო

კვირა, 16 თებერვალი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 08.10 — განცხადებები, 08.30 — მოცარტი. ნაწყვეტები ოპერებიდან, 09.15 — რუსულენოვანი გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთ „საქართველოს პიონერის“ საკვირაო გამოშვება, 10.15 — „ლილა მშვიდობისა“ (მოსკოვი), 11.00 — პიონერთა დაფიონი“ (მოსკოვი), 11.45 — ნ. მამიასშვილი. კონცერტი ფორტეპიანოსა და კამერული ორკესტრისათვის, 12.05 — მუსიკალური რადიოფიშა, 12.30 — რადიოჟურნალი. „ფიზკულტურა და სპორტი“, 13.00 — ციკლიდან „მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის. კონცერტი-სუბარი „რა უნდა ვიცოდეთ სიმფონიური მუსიკის შესახებ“ (გადაცემა პირველი), 14.00 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა ვაჟა-ფშაველას მოთხრობისა „ზვლის ნუკრის ნაამბობი“, 14.45 — —ქვეყნებში და კონტინენტებზე“ (მოსკოვი), 15.00 — „მეგობრობის კონცერტი. ტრანსლაცია ერევნიდან, 15.30 — ა. კალანდაძე. ლექსები, 15.50 — გლიერი. საზეიმო უვერტიურა, 16.15 — ხაბეჭოთა არმიის მეომრებისათვის. რადიოჟურნალი „ისმინე, ჯარისკაცო!“, 17.00 — საგრთაშორისო მიმოხილვა, 17.15 — ნ. პერლიას კონცერტი, 17.30 — საუბარი „დეპუტატი ხალხის მსახურია“, 17.45 — ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 19.00 — ციკლიდან „ლენინური სტრიქონები“. რადიოკომპოზიცია „ელეცკის გარიჟრაჟები“ (მოსკოვი), 19.30 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 20.00—უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.20 — ჩვენი კომენტარი (მოსკოვი), 20.30 — რადიოდადგმა „მოგზაური“, 21.30 — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 22.50 — ვალსები ქართული კინოფილმებიდან, 23.30 — პ. ჩაიკოვსკი, საბალეტო მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

● **შაბათი, 15 თებერვალი**

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — კომპოზიტორ კოვაჩის სიმღერები (გადმოცემა ხარკოვიდან), 11.30 — „მელოდიიდან მელოდიამდე“, 12.00 — შეხვედრები თეატრის ოსტატებთან — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი გალინა ვიშნევსკაია, 13.00 — „ცოდნა“ სამეცნიერო-შემეცნებითი პროგრამა (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის), 13.30 — კინოინფორმაციის ტელევიზიის პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.00 — „ჯანმრთელობა“ სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა პიატიგორსკიდან), 15.30 — „თეორია ახალგაზრდობა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.15 — კინოპროგრამა ბავშვებისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.05 — მსოფლიო პირველობა ცეკურებით ჩქარიისნულ სირბილში, 18.15 — კონცერტი ბავშვებისათვის, 18.50 — „კინოაფიშა“, 19.15 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — ლიტერატურული საუბრები, 19.50 — რუსთაველის სახელობის პრემიაზე წარდგენილი ნაწარმოებები. რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „გვადი ბიგვა“, 22.50 — „მოამბე“ საინფორმაციო პროგრამა.

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა, დასაწყისი 10 საათიდან 01 საათამდე.

● **კვირა, 16 თებერვალი**

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია. მაღალეფექტური გეომეტრიაში, 10.30 — ბავშვებისათვის „მაგიძარა“. (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „მუსიკალური კოსმოსი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — სკოლამდელთათვის „იცარაჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 14.40 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „სერიოჟა“, 13.00 — ბავშვებისათვის „ჩვენი საამბობლოს ზღიდა ადგილები“ „სმოლენსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 —სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „სიცოცხლის სიტყვა“, 14.00 — სატელევიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატენე“ 1937 წელი (ქართული ენაზე), 15.00 — მოკლემეტრაჟიანი მუსიკალური ფილმი „მაისის ღამე“, 15.45 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.15 — მსოფლიო პირველობა ჰოკეიში — საბჭოთა კავშირი-შვეიცარია (გადმოცემა სტოკჰოლმიდან), 18.15 — ცენტრალური ტელევიზიის ფერადი პროგრამა — „კინომოგზაურთა ალბები“, 19.15 — „ჯანმრთელობა“ — სატელევიზიო ჟურნალი, 19.55 — კინონარკვევი „ცისფერი ბალის წყალქვეშა ტრასა“, 20.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.25 — ლიტერატურული თეატრი — „ნ. კრილოვი“, 21.25 — მხატვრული ფილმი „გაზაფხული ზარეჩნაიას ქუჩაზე“, 22.50 — საესტრადო გასართობი პროგრამა.

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა, დასაწყისი 10 საათიდან 01 საათამდე.

● **ორშაბათი, 17 თებერვალი**

11.05 — სკოლამდელთათვის — „იცარაჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.15 — ბავშვებისათვის — გასართობი პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — ცენტრალური ტელევიზიის ფერადი პროგრამა. 1. ბატრ-რევანში — ნახატი ფილმი; „საქართველოს მაღალმთიანი ტბები“ — სამეცნიერო-პოპულარული კინონარკვევი; 2. მინიატიურების სატელევიზიო თეატრი „13 სკამი“, 18.00 —სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — კინონარკვევი, 18.35 — განცხადებები, 18.40 — ბავშვებისათვის — „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ“, 19.00—საქართველოს ტელევიზიის ფერადი პროგრამა. ბავშვებისათვის — 1. დოკუმენტური ფილმი „რა ასწავლეს ბორიას მზეცებმა“; 2. ნახატი ფილმი „ჩუნია“, 19.30 — გადაცემა „საერთო-სახალხო საქმე“, 19.45 — გადაცემა „ცაკლიდან „მუსიკა ქართულ დრამატულ თეატრში“, 20.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბაბი“. პრემიერა (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები), 21.40 „ახალი ლიტერატურული ალმანახი“, 22.40 — „მოამბე“ —საინფორმაციო პროგრამა.

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა, დასაწყისი 10 საათიდან 01 საათამდე.

● **სამშაბათი, 18 თებერვალი**

11.05 — სკოლამდელთათვის — „იცარაჯიშეთ ჩვენთან ერთად“ 11.15— მხატვრული ფილმი „გაზაფხული ზარეჩნაიას ქუჩაზე“, 12.45 — საქართველოს ტელევიზიის ფერადი პროგრამა. ბავშვებისათვის — 1. დოკუმენტური ფილმი „რა ასწავლეს ბორიას მზეცებმა“; 2. ნახატი ფილმი „ჩუ-ნია“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.30 — განცხადებები, 18.35 — „ცეროდენას ეკრანი“, 18.45 — „გზა დიდი და გზა პატარა“, 19.15 — გადაცემა „დედაქალაქის მწვანე ზღვა“, 19.55 — კინონარკვევი, 20.05 —„ხალხური შემოქმედების ახალი კერა“, 20.45 — „მოამბე“— საინფორმაციო პროგრამა, 21.10— „ფეხბურთი —69“, 21.30 — „დრო“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — მხატვრული ფილმი „ორშაბათიც ალთენდება“.

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა, დასაწყისი 17 ს. და 55 წუთიდან.

● **ოთხშაბათი, 19 თებერვალი**

11.05 — სკოლამდელთათვის — „იცარაჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.15 — კინომოგზაურა, 11.55— მხატვრული ფილმი „გაზაფხული ოდესაზე“, 13.35 — სატელევიზიო დოკუმენტური (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები,) 17.35 — მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის შემსწავლელთათვის — „ვ. ი. ლენინის მოდგმა „მარქსიზმის სამი წყაროს“ და სამი შემადგენელი ნაწილის“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.30 — განცხადებები, 18.35 — სატელევიზიო ჟურნალი ბაგშვებისათვის „ცისკრტყელა“, 19.25 — „ოქტომბრის ბლუნტის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში“ — „მიწათმოქმედების მაღალი კულტურისათვის“, 19.55 — კალათბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე — „დინამო“ თბილისი — ასკ კიევი (ტრანსლაცია სპორტის სასახლიდან), 21.30 — მხატვრული ფილმი „მანდილოსანი ძაღლით“, 23.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა.

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა, დასაწყისი 17 ს. და 45 წ.

● **ხუთშაბათი, 20 თებერვალი**

18.05 — ახალი ამბები, 18.10— კინონარკვევი, 18.25 — განცხადებები, 18.30 — ბავშვებისათვის. გადაცემა „ლეო ქიაჩელი“ (მწერლის დაბადების 85 წლისთავის გამო), 19.30 — კინომოგზაურა, 20.00 — კალათბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე — „დინამო“ თბილისი — ასკ კიევი (ტრანსლაცია სპორტის სასახლიდან), შესვენების დროს — „მოამბე“ საინფორმაციო პროგრამა, 21.45 — გადაცემა „ეჯრედიდან ცოცხალ ორგანიზმამდე“, 22.15— როსინის ოპერა „ქერდი ფუნბლეიფი“ იტალიის ტელევიზიის ნაწარმოები.

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა, დასაწყისი 17 ს. და 45 წ.

● **პარასკევი, 21 თებერვალი**

11.05 — სკოლამდელთათვის— „იცარაჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.15 — „შენთვის, ახალგაზრდობავ“ (გადმოცემა მინსკიდან), 11.45 — კინონარკვევი, 11.55 — მხატვრული ფილმი „სალმე 306“, 13.15 — ბავშვებისათვის — „ბუნების საოცრებანი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.55 — ახალი ამბები, 18.00—კინონარკვევი, 18.15 —განცხადებები, 18.20— ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ, 18.40 — „იყო და არა იყო რა“, 19.00 — გადაცემა „დიდი გზის დასაწყისი“, 20.05 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.35 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. ქართული მხატვრული ფილმი „აბესალომ და ეთერი“, 22.00 — გადაცემა „ლიმბერი ორყოფილი“, 22.45 — ლიტერატურული თეატრი. ილია ჭავჭავაძე „ერთსართულიანი ამერიკა“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა, დასაწყისი 10 ს. და 55 წუთიდან.

15 თებერვალი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ევგენი ონეგინი (32-ე აბონ. მე-2 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — გვადი ბიგვა, **რუსთაველის სახელობის მცირე დრამაზე** — ანტიგონე, **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — გურამიდელნი, **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — იოლოცხლე მრავალფამილარ, **მოზარდ მაყურებელთა პარნული** — ბაიბარა ხიხო (№ 35 აბონ. დღისის 10 ს. და 30 წ., № 8 აბონ. საღამოს 6 ს.). **თოჯინების ქართული** — ნაცარქიქია (დღის 11 ს. და 1 ს.).

ორნი გრიგალში

ეს მოხდა რიონის შესართავთან

წინადღით მოიელაპარაკეს, სანადირო წავიდეთო. თოფები და სხვა სანადირო აღჭურვილობა დილითვე წამოიღეს მინდან და სამუშაოს დამთავრების შემდეგ პირდაპირ გაუდგნენ გზას.

შებინდებამდე ერთი საათიღა აკლებოდა, მონადირეები კუნძულზე რომ გადასხდნენ. ეს იყო პატარა, სულ რაღაც სამასიოდე კვადრატული მეტრი ფართობის კუნძული, რომელიც ამ ერთი წლის წინათ ამოიბერტყა ზღვამ მდინარე რიონის შესართავთან.

ორნი იყვნენ. ფოთის ჰიდროშენაკიანური მანქანათმშენებელი ქარხნის მუშები — ვახტანგ ჯაბაშურია და ივანე ბარდაჩეკი.

ნადირობაში ისე გაერთნენ, რომ ვერ შეამჩნიეს, როგორ მომძლავრდა ქარი.

ბოლოს როცა შინ წასვლა გადაწყვეტეს, უკვე გვიანღა იყო. პატარა ორადგილიანი ნავით ნაპირზე გამოსვლა შეუძლებელი აღმოჩნდა.

ამაღამ აქ უნდა გავათენოთ? — შეშფოთებით იკითხა ბარდაჩეკმა და ამხანაგს შეხედა.

— მეტი რა გზაა. ნუ გეშინია, ივანე, ერთ ღამეს ადამიანი ჯოჯოხეთში გაძლებს!

ქარ-ყინვა ძვალ-რბილში ატანდა.

მშრალი ადგილი შეარჩიეს, ბრეზენტის წამოსასხამები დაიფინეს, გადმოპირქვავებულ ნავს გარშემო სილა და ქვიშა შემოაყარეს და სათითაოდ შეძვრნენ ნავის ქვეშ.

მოხერხებულად მოიკალთეს, აქ მყუდროება იყო და ასე თუ ისე ერთი ღამის გხთევა მართლაც შეიძლებოდა.

ბოლოს განთიადმაც მოაღწია, მაგრამ მონადირეებისათვის არავითარი ნუგეში არ მოუტანია, გარდა იმისა, რომ დღე და სინათლე საერთოდ დიდი იმედი და ნუგეშია ადამიანისათვის. ქარი ირეთუ არ ჩადგა, წუხანდელზე უფრო გაფთრებით ქროდა და წყალკეთ ემუქრებოდა ცასა და მიწას.

ამინდი თანდათან უარესდებოდა და არავითარი იმედი არ იყო, რომ მალე ჩადგებოდა ქარი. შეიძლება ერთ კვირას ექროლა, შეიძლება მეტიც. ამ კუნძულზე კი ასეთ ამინდში ადამიანი სამ დღესაც ვერ გაძლებდა.

მდგომარეობა კიდევ ერთხელ აწონ-დაწონეს და გადაწყვიტეს ერთი დღეც დალოდებოდნენ ამინდის გაუმჯობესებას. თუ დილამდე ქარი არ ჩადგებოდა და ამალამდელ ღამესაც როგორმე გადალახნენ, ხვალ უკანასკნელად უნდა ეცადათ ბედი: ნავთი აპყოლოდნენ მდინარეს: მეტის დაყოვნება არ შეიძლებოდა, რადგან სიცივისა და შიმშილისგან დასუსტებულნი მერე ამასაც ვერ შეძლებდნენ.

გაითვალისწინეს და ივარაუდეს ყოველი დეტალი: თუ ვინიცობაა, ნავი გადაუბრუნდებოდათ ან ზღვისაკენ გიტაცებდა გრიგალი, მაშინვე ცურვით გასულიყვნენ ნაპირზე, ნავში ტანთგახდილი, ქუერქებმოხურულნი უნდა ჩამსხდარიყვნენ.

ორივე კარგი ნაოსანი და კარგი მცურავი იყო, მაგრამ ეს გადარჩენის გარანტიას სანაცვლოდაც არ იძლეოდა: რა ისტატობა უნდა გეფლარა წყალში 12-ბალიანი შტორმის დროს, როცა მდინარე ყინულის ბრრიებს ათამაშებდა.

იყო კიდევ ერთი იმედი: იქნებ მოქმეტნაო, ნაპირიდან შეეამჩნიათ და მიშველებოდნენ. მაგრამ ვინ შეამჩნევდა ასეთ ამინდში ზღვაში! ასე რომ ეს ისეთი იმედი იყო, ცმა მოიყარა თავი, მოითათბირეს და გადაწყვიტეს ახლავე გამოეყოთ მაშველი რიზმი. მასი ხელმძღვანელობა თვითონ დირექტორმა ითავა.

საქმეს ის ართულებდა, რომ დანაშდვილებით არავინ იცოდა, საით წავიდნენ სანადიროდ, ბოლოს, როგორც იქნა, ზოგი რამ დაამუსტეს: მეძორნემ თქვა დაღმა მიპყვებოდნენ. რიონს ზღვისკენო, ხოლო ამ ცნობის მიხედვით გამოცდილმა მონადირეებმა დასაკვნეს, „ახალ მიწაზე“ იქნებიანო.

გამოემიდან დაათვალიერეს, მაგრამ არაფერი არ ჩანდა, ქარსა და ღელვაში ისეთი შთაბეჭდილება იყო, იტყოდით, კუნძული სულაც წყლეკაო, ყოველ შემთხვევისათვის ნაპირთან კუნძულის მახლობლად სათვალთვალო პუნქტი მოაწყეს, რომ მოქცევის შუალედებში, როცა გრიგალი ცოტა ვი ქარმა ნაფოტივით მოიტაცა და გადაბერუნა. მერე სადღაც ნაპირისკენ გაათრია.

ამასობაში საღამოყამმაც მოაღწია.

— ასე არაფერი გამოვა, მე ჩავჯდები ნავში, — წამოიძახა ამ დროს ვიღაცამ და ხალხი გაარღვია. ყველამ იცნო ქარხნის ახალგაზრდა მუშა კოტე ლოლუა, — მეორე ვინ მოდის ჩემთან?

ახალგაზრდები ერთბაშად მიაწყდნენ ნაპირს, მაგრამ ლოლუამ ამხანაგი თვითონვე აირჩია.

— გალოდია, მოდი ჩაჯექი, — დაუძახა მან ქერა ჭაბუკს. ეს იყო მძღოლი ვლადიმერ ხმელნიცკი. ლოლუა მას შორიდან იცნობდა, ერთად უბანსავიათ, უსიერნიათ ნავით, კარგი ნიჩბოსანი იყო.

— კარგად არის ნავზე მობმული ტროსი, ამა დაიჭიო და ნელელა გასწიეთ.

მონადირეებმა მთელ გამოცურებული ნავი რომ დაინახეს, სიხარულით ერთმანეთს გადეხვივნენ. თუმცა ისიც იცოდნენ, ზეიმი ჯერ ნაადრევი იყო. ამ ქარიშხალში ნავით აქამდე მოღწევა და უკანვე დაბრუნება ძნელი საქმე იყო. მაგრამ ახლა მათთვის ამას მნიშვნელობა არა ჰქონდა; ხომ მოძებნეს, ხომ ახსოვთ, ვიღაცამ ხომ გასწირა თავი მათთვის, ერთ სიცოცხლედ მარტო ეს ღირდა!

ახლა ეს მძიმე დღეები ჩავლილია. შტორმული ქარისაგან დაზარალებული სოფლები და ქალაქები წელში სწორდებიან. დიდი აღდგენითი სამუშაოების ფონზეც. მიმდინარეობს დაზიანებული ზონების შეკეთება. ოდიან საშენი მასალებით დატვირთული ვაგონები სხვადასხვა ქალაქიდან და რაიონიდან. დაბრუნდა ბრიგადები ჩამოვიდნენ სოხუმიდან, რუსთავიდან, ბათუმიდან, ოჩამჩირიდან.

სხვა მხრივ კი ყველაფერი ძველებურად არის. ჩვეულებრივ ცხოვრობს დაბრუნდა ქალაქი. თავიანთ ყოველდღიურ სამუშაოს დაუბრუნდნენ ზახტანგ ჯაბაშურია და ივანე ბარდაჩეკიც, კაცმა რომ თქვას, დიდი ოკაფერი ბომხდარა მათს ცხოვრებაში — ხოფათში ჩავარდნენ და ამხანაგებმა გადარჩინეს. მაგრამ ამ შემთხვევამ ისინი როგორღაც გამოცვალა — თითქოს რაღაც განთდა, გასრულდა და ამაღლდა მათს სულში, იმის ღირსი შეგნებამ, რომ უყვართ ამხანაგებს, რომ მათი არსებობა მნიშვნელოვანია გარშემომყოფთათვის, სულ სხვა ადამიანებად აქცია ისინი, რაღაც მინდგანი ძალითა და სიამაყით ადავსო მათი გული...

მ. მიქაძე.

... ...



გუნდში ესროლეს ქაღალდის ბრიბენ

კანადის ეროვნული ნაკრების მრავალმა წარუმატებლობამ მსოფლიოს ჩემპიონატებზე იმდენად გაუცრუა იმედი ჰოკეის თაყვანისმცემლებს, რომ მათ გადაწყვიტეს მიმართონ უკიდურეს საშუალებას. შეიქმნა ჰოკეის ახალი ლიგა. მასში მხოლოდ ქალიშვილები თამაშობენ. ხუსტი სქესის წარმომადგენლები ზოგჯერ ძალისმიერ თამაშსაც არ ერიდებიან. მართალია ზოგიერთი კოსერვატორული გულმტკივარი უკმაყოფილოა იმით, რომ ყინულზე ქალიშვილების თამაშის დროს ცემა-ტყეპა არ არის.

ქალთა ჰოკეი უბრალო ფიგურული სრიალი კი არ არის ჩოგნებით ხელში. აგრესიულობა პლუს ემმაკობა და ვერაგობა — და ახლადშობილი ლიგის პირველ მატჩშივე ფიქსირებულია შედეგი 4:0. ტორნტოელმა ქალიშვილებმა დამარცხეს რიჩმონდ ჰილელი მეტოქენი.

ბ. კოროლიოვი,

ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტი კანადაში.

სურათზე: ტორნტოელისა და რიჩმონდ ჰილის ქალთა გუნდების ჰოკეის მატჩის მომენტი.



მ. სტამბოლიშვილი —

ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი

ფოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგემ, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატმა **მიხეილ ისმაილის-ძე სტამბოლიშვილმა** კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის განვითარების დიალექტიკა სოციალისტურ საზოგადოებაში“**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა **მ. ი. სტამბოლიშვილისათვის** ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

... ...

მატჩები კიევსა და თბილისში

გუშინ კიევსა და თბილისში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები კალათბურთში.

კიევში პაექრობა ჭარნდათ ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლებს — ადგილობრივ „სტროიტელსა“ და თბილისის „დინამოს“. მატჩის შედეგია 67:64 თბილისელთა სასარგებლოდ.

თბილისს სპორტის სასახლეში ერთმანეთს შეხვდნენ ალმა-ატის „ლოკომოტივისა“ და თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდები. მასპინძლებმა უფიერულად ჩაატარეს მატჩი და დამარცხდნენ ანგარიშით 71:79 (38:45).

რამდენიმე სტრიქონით

● **დიდი** ფეხბურთის ტრადიციულ პრიზებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ჯილდო შეემატა. ეს არის ყაზახეთის ახალგაზრდობის გაზეთის „ლენინსკაია სმენას“ პრიზი. იგი დაწესებულია იმ საკლუბო გუნდისათვის, რომელიც საბჭოთა ნაკრებისათვის ყველაზე მეტ ფეხბურთელს მოამზადებს.

● **ჩვიდმეტმა** ქვეყანამ განაცხადა სურვილი მონაწილეობა მიიღოს მსოფლიოს პირველობის გათამაშებაში კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც 3 მარტს დაიწყება არგენტინის ქალაქ მარდელ-პლატაში. მათ შორის არიან სსრ კავშირი, ბულგარეთი, ირანი, იაპონია და სხვა ქვეყნები.

● **ლიონში** გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში საფრანგეთის საკლუბო გუნდ „ნანეიდსა“ და უნგრეთის ნაკრებს შორის. შეხვედრის შედეგია ფრე 2:2. უნგრელებიდან გოლების ავტორები იყვნენ ალბერტი და რაკოში.

თ. გიორგაძე— ჩემპიონი

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ოსტატმა თ. გიორგაძემ სტუდენტ მოჭადრაკეთა ბათუმის საკავშირო ჩემპიონატზე 10,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა.

ეი როგორ დამთავრდა უკანასკნელი ტურის შეხვედრები და როგორ განლ